2023 წლის ანგარიში

ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულებისა და სამართლებრივი აქტების შესაბამისად, სამსახური ასრულებს დაკისრებული მოვალეობას. შესრულებისას ურთიერთობა გვაქვს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ენერგეტიკის სამინისტროებთან, სსიპ- სახელმწიფო ქონების და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოებთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, მერიის სხვადასხვა სამსახურებთან და მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებთან.

2023წელს სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებად ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით დარეგისტრირდა 4 ერთეული უძრავი ქონება შემდეგი საკადასტრო კოდებით:

1. 44.01.31.954 - 154 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ტროტუარი, ქ. სენაკი რუსთაველის ქუჩა).
2. 44.04.24.600 - 51კვ.მ (ხიდი; ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეული).
3. 44.07.24.168 - 28კვ.მ (ხიდი; ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეული).
4. 44.01.36.693 - 107კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. (სკვერი, სადაც განთავსებულია ჯვარი; ქ. სენაკი, ჭავჭავაძის ქუჩა).

დამატებითი ქონების სახით დარეგისტრირდა უძრავი ქონებები შემდეგი საკადასტრო კოდებით:

1. 44.08.31.272 - 2000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საბავშვო ბაღის მოსაწყობად; ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეული).

2 44.13.21.577 - 700 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ამფითეატრი; ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეული).

3. 44.01.26.476 - 763 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სასაფლაო; ქ. სენაკი).
4. 44.03.27.487 – 673 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სტადიონის მოსაწყობად; მის: ქ. სენაკი, თეკლათის ადმინისტრაციული ერთეული).
5. 44.06.22.458 - 231 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეული).
6. 44.07.21.297 - 200 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეული).

7. 44.07.21.298 - 300 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეული).
8. 44.04.28.592 - 3100 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საბავშვო ბაღის მოსაწყობად; ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეული).
9. 44.09.23.298 - 9044 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სტადიონის მოსაწყობად; მის: ქ. სენაკი, უშაფათის ადმინისტრაციული ერთეული).
10. 44.01.28.761 - 330 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ტრენაჟორების განთავსებისთვის; ქ. სენაკში, ჭავჭავაძის ქ. 33-ის მიმდებარე).
11. 44.01.28.762 - 98 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ქ. სენაკში, ჭავჭავაძის ქ. 20-ის მიმდებარედ).

განხორციელდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონებების დაყოფა:

1. ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონება (ამბულატორია) ს/კ 44.02.26.370 – 2371კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით გაიყო ორ ნაწილად და ამჟამად არის: ს/კ 44.02.26.511 - 818კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 135კვ.მ ამბულატორიის შენობა-ნაგებობით და ს/კ 44.02.26.510 – 1553კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
2. ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონება (ამბულატორია) ს/კ 44.04.28.435 – 507კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით გაიყო ორ ნაწილად და ამჟამად არის: ს/კ 44.04.28.589 - 272კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 154კვ.მ ამბულატორიის შენობა-ნაგებობით და ს/კ 44.04.28.590 – 235კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
3. მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონება (ამბულატორია) ს/კ 44.05.24.322 – 1098კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით გაიყო ორ ნაწილად და ამჟამად არის: ს/კ 44.05.24.455 - 484კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 142კვ.მ ამბულატორიის შენობა-ნაგებობით და ს/კ 44.05.24.456 – 614კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
4. ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონება (ამბულატორია) ს/კ 44.06.23.360 – 671კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით გაიყო ორ ნაწილად და ამჟამად არის: ს/კ 44.06.23.423 - 936კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული

77კვ.მ ამბულატორიის შენობა-ნაგებობით და ს/კ 44.06.23.424 – 578კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
5. ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონების ს/კ 44.07.21.177 დაყოფა ორ ნაწილად და ამჟამად არის: ს/კ 44.07.21.295 – 4474 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საბავშვო ბაღის მოსაწყობად) და ს/კ 44.07.21.296 – 13321კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
6. ქ. სენაკში, მშვიდობის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების ს/კ 44.01.31.264 (301კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) დაყოფა ორ ნაწილად და ამჟამად არის: ს/კ 44.01.31.956 – 76კვ.მ მიწის ნაკვეთი და ს/კ 44.01.31.955 – 225კვ.მ მიწის ნაკვეთი.
7. ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონების ს/კ 44.07.21.296 (13321კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) დაყოფა სამ ნაწილად, ვინაიდან მასში მოქცეული იყო გზის სავალი ნაწილი და ამჟამად არის: ს/კ 44.07.21.299 – 8524კვ.მ მიწის ნაკვეთი (მასზე დამაგრებული 339კვმ; 55კვმ; 10კვ.მ; 5კვმ ნაგებობებით (დანგრეული)), ს/კ 44.07.21.300 – 3999კვმ. მიწის ნაკვეთი და ს/კ 44.07.21.301 – 798კვ.მ მიწის ნაკვეთი - გზა.
8. ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონების 44.13.21.361-48154კვ.მ დაყოფა ორ ნაწილად და ამჟამად არის: 44.13.21.744 - 47854კვ.მ; 44.13.21.745 - 300კვ.მ (ცხოველთა სამარხის მოსაწყობად).

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების ს/კ 44.02.26.511, 44.04.28.589, 44.05.24.455, 44.06.23.423, 44.10.25.210 (ამბულატორიები) სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.05.2023წ. 41.41231504 განკარგულებით.

თითოეულ ქონებაზე უძრავი ქონებების დარეგისტრირებისათვის მომზადდა საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზები, შესაბამის სტრუქტურებში გასაგზავნი წერილები, ქონების კატეგორიის მინიჭებაზე და რეგისტრაციასთან დაკავშირებული შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემული ქონებების დოკუმენტაცია ბალანსზე აყვანის და შესაბამის ფინანსურ დოკუმენტაციაში აღრიცხვის მიზნით გადაცემულია შესაბამის სამსახურზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.12.2019წ. №487 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების დაზუსტებასა და ცვლილების რეგისტრაციას სააგენტო ახორციელებს საკუთარი ინიციატივით. ცვლილებები განხორციელდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებებზე.

განხორციელდა უძრავ ქონებებთან დაკავშირებული შესაბამის მონაცემთა ინფორმაციული დამუშავება.

მუნიციპალიტეტსა და კერძო, ფიზიკურ პირებს შორის დასადები ხელშეკრულებებისა და შეთანხმებებითვის მომზადდა სამართლებრივი აქტების (მერის ბრძანება, საკრებულოს განკარგულება) პროექტები. ასევე, მათი იუსტიციის სახლში სარეგისტრაციოდ აუცილებელი დოკუმენტაცია.

მომზადდა სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი შემდეგი ხელშეკრულებები და შეთანხმებები:

1. სენაკის მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრს" შორის დაიდო 07.02.23წ. უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება.
2. სენაკის მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრს" შორის დაიდო 07.02.2023წ. უზუფრუქტის 1ხელშეკრულება.
3. სენაკის მუნიციპალიტეტსა და სს ,,სილქნეტს" შორის დაიდო 01.03.2023წ. იჯარის ხელშეკრულება.
4. სენაკის მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ ,,სენაკის სათემო განვითარების ცენტრს" შორის დაიდო თხოვების ხელშეკრულება.
5. სენაკის მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ ,,სოფლის განვითარების სააგენტოს" შორის დაიდო 28.07.23წ. უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება.

იპოთეკა/გირავნობის რეგისტრაციის მოხსნაზე და შეზღუდვის არსებობის გამო თანხმობაზე მომზადდა შესაბამისი კორესპონდენციები.

მომზადდა საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების შედგენის მომსახურეობის შესყიდვების განსახორციელებლად შესაბამისი დოკუმენტაციები.

მომზადდა კორესპონდენცია და სამართლებრივი აქტების პროექტები (ბრძანება, საკუთრების მოწმობა და სხვა) მუნიციპალიტეტის მერიის მიერ არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

მოთხოვნის შესაბამისად სხვადასხვა ორგანიზაციებს, სახელმწიფო და საჯარო დაწესებულებს გადაეგზავნა ინფორმაციულად დამუშავებული მონაცემები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების და მისი განკარგვის თაობაზე.

ორგანიზაციებიდან და მოქალაქეებისგან შემოსული მომართვებით და განცხადებებით მოთხოვნილი საკითხები მისი შემდგომი გადაწყვეტის მიზნით

ქვემდებარეობის შესაბამიად გადაეგზავნათ უფლებამოსილ სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებს.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით (პრივატიზაცია, სარგებლობა, სერვიტუტი და სხვ. ჩასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებული თანხმობა, შუამდგომლობები და სხვა) ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს გაეგზავნათ შესაბამისი პასუხები (წერილი, მომართვა, შუამდგომლოები, განცხადებები) მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ კორესპონდენციებზე.

მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოში გადაიგზავნა და დამტკიცდა 2023 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და გეგმა, რომელიც მოიცავდა 10 უძრავ ქონებას. აღნიშნული გეგმის შესაბამისად, 10-ზე მომზადდა სათანადო დოკუმენტაცია და გამოცხადდა შემდეგი უძრავი ქონებების აუქციონი: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. სენაკში, რუსთაველის ქუჩა 114-ში (ყოფ. 108) მდებარე უძრავი ქონების (საკ. კოდი 44.01.28.760), 339 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით ელექტრონული აუქციონი (11.07.2023წ.-16.07.2023წ. ლოტის 906592), სადაც გამოვლინდა აუქციონში გამარჯვებული (შპს ,,მედგრუპი“). მომზადდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი, ნასყიდობის ხელშეკრულება და საკუთრების მოწმობა. განხორციელდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი რეგისტრაციები. მომზადდა ზემოთ აღნიშნული ელექტრონული აუქციონით გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი სენაკის მუნიციპალიტეტსა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ შორის. პრივატიზების თანხამ შეადგინა 20700 (ოცათასშვიდასი) ლარი. 2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. სენაკში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (საკ. კოდი 44.01.28.722), 147 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით ელექტრონული აუქციონი (27.07.2023წ.-01.08.2023წ. ლოტის 912481), სადაც გამოვლინდა აუქციონში გამარჯვებული (ფიზიკური პირი რევაზი სახოკია). მომზადდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი აგრეთვე, ნასყიდობის ხელშეკრულება და საკუთრების მოწმობა. განხორციელდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი რეგისტრაციები. მომზადდა ზემოთ აღნიშნული ელექტრონული აუქციონით გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი სენაკის მუნიციპალიტეტსა და სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ შორის. პრივატიზების თანხამ შეადგინა 7700 (შვიდიათასშვიდასი) ლარი. 3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. სენაკში, ტაბიძის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (საკ. კოდი 44.01.28.719) 8 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით ელექტრონული აუქციონი (19.09.2023წ.-25.09.2023წ. ლოტის 925862), სადაც გამოვლინდა აუქციონში გამარჯვებული (ფიზიკური პირი რამაზი ჯანაშია). მომზადდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი აგრეთვე, ნასყიდობის ხელშეკრულება და საკუთრების

მოწმობა. განხორციელდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი რეგისტრაციები. მომზადდა ზემოთ აღნიშნული ელექტრონული აუქციონით გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი სენაკის მუნიციპალიტეტსა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ შორის. პრივატიზების თანხამ შეადგინა 660 (ექვსასსამოცი) ლარი. 4. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. სენაკში, ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონების (საკ. კოდი 44.02.21.431), 343 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით ელექტრონული აუქციონი (02.10.2023წ.-07.10.2023წ. ლოტის 928448), სადაც გამოვლინდა აუქციონში გამარჯვებული (ფიზიკური პირი ზაზა გეგია). მომზადდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი აგრეთვე, ნასყიდობის ხელშეკრულება და საკუთრების მოწმობა. განხორციელდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი რეგისტრაციები. მომზადდა ზემოთ აღნიშნული ელექტრონული აუქციონით გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი სენაკის მუნიციპალიტეტსა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ შორის. პრივატიზების თანხამ შეადგინა 10560 (ათიათასხუთასსამოცი) ლარი. 5. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. სენაკში, მშვიდობის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (საკ. კოდი 44.01.28.760) 22 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული ჯიხურის პრივატიზების მიზნით ელექტრონული აუქციონი (13.10.2023წ.-20.10.2023წ. ლოტის 933277), სადაც გამოვლინდა აუქციონში გამარჯვებული (ფიზიკური პირი მაკა აშკაშიძე). მომზადდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი აგრეთვე, ნასყიდობის ხელშეკრულება და საკუთრების მოწმობა. განხორციელდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი რეგისტრაციები. მომზადდა ზემოთ აღნიშნული ელექტრონული აუქციონით გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი სენაკის მუნიციპალიტეტსა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ შორის. პრივატიზების თანხამ შეადგინა 7920 ლარი. 6. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. სენაკში, რუსიას ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (საკ. კოდი 44.01.29.550) 492 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის პრივატიზების მიზნით ელექტრონული აუქციონი (25.10.2023წ.-31.10.2023წ. ლოტის 535778), სადაც გამოვლინდა აუქციონში გამარჯვებული (ფიზიკური პირი ნურადი მიშველია). მომზადდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი აგრეთვე, ნასყიდობის ხელშეკრულება და საკუთრების მოწმობა. განხორციელდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი რეგისტრაციები. მომზადდა ზემოთ აღნიშნული ელექტრონული აუქციონით გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი სენაკის მუნიციპალიტეტსა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ შორის. პრივატიზების თანხამ შეადგინა 24860 (ოცდაოთხიათასრვასსამოცი ლარი. 7. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. სენაკში, მშვიდობის ქუჩაზე მდებარე

უძრავი ქონების (საკ. კოდი 44.01.31.955) 225 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით ელექტრონული აუქციონი (27.10.2023წ.-01.11.2023წ. ლოტის 936799), სადაც გამოვლინდა აუქციონში გამარჯვებული (ფიზიკური პირი თემური ქარდავა). მომზადდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი აგრეთვე, ნასყიდობის ხელშეკრულება და საკუთრების მოწმობა. განხორციელდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი რეგისტრაციები. მომზადდა ზემოთ აღნიშნული ელექტრონული აუქციონით გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი სენაკის მუნიციპალიტეტსა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ შორის. პრივატიზების თანხამ შეადგინა 24750 (ოცდაოთხიათასშვიდასორმოცდაათი) ლარი. 8. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. სენაკში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (საკ. კოდი 44.01.28.724) 87 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით ელექტრონული აუქციონი (08.11.2023წ.-14.11.2023წ. ლოტის 939177), სადაც გამოვლინდა აუქციონში გამარჯვებული (იურიდიული პირი შპს „დელტა ოილი“). მომზადდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი აგრეთვე, ნასყიდობის ხელშეკრულება და საკუთრების მოწმობა. განხორციელდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი რეგისტრაციები. მომზადდა ზემოთ აღნიშნული ელექტრონული აუქციონით გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი სენაკის მუნიციპალიტეტსა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ შორის. პრივატიზების თანხამ შეადგინა 11400 (თერთმეტიათასოთხასი) ლარი. 9. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. სენაკში, ქუთაისის ქუჩის ზემოთ მდებარე უძრავი ქონების (საკ. კოდი 44.01.21.106) 54 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით ელექტრონული აუქციონი (06.12.2023წ.-12.12.2023წ. ლოტის 945313), სადაც გამოვლინდა აუქციონში გამარჯვებული (ფიზიკური პირი მერაბ ჩიქობავა). მომზადდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი აგრეთვე, ნასყიდობის ხელშეკრულება და საკუთრების მოწმობა. განხორციელდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი რეგისტრაციები. მომზადდა ზემოთ აღნიშნული ელექტრონული აუქციონით გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი სენაკის მუნიციპალიტეტსა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ შორის. პრივატიზების თანხამ შეადგინა 2970 (ორიათასცხრაასსამოცდაათი) ლარი. სულ მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების პრივატიზებიდან შემოსულია 114620 (ასთოთხმეტიათასექვსასოცი) ლარი. საპრივატიზაციო გეგმის მიხედვით, ელექტრონული აუქციონი გამოცხადდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქ. სენაკში, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონების (საკ. კოდი 44.04.28.366) - 17 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული ჯიხურის პრივატიზების მიზნით (22.09.2023წ.-27.09.2023წ. ლოტის 925868),

რომელზედაც არ დაფიქსირდა არცერთი ბიდი. აღნიშნულ უძრავ ქონებაზე, მ/წლის 13 ოქტომბერს გამოცხადდა განმეორებითი ელექტრონული აუქციონი (13.10.2023.-20.10.2023, ლოტის 933270), რომელზედაც ამჯერადაც არ დაფიქსირდა არცერთი ბიდი. სენაკის მუნიციპალიტეტსა და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მომზადდა: სენაკის მუნიციპალიტეტის, ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 200კვ.მ. და ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე 98 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ექსპერტიზის დასკვნები. მიმდინარეობს საქმის წარმოება.
მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონებიდან მიღებულმა შემოსულობებმა სულ შეადგინა 60 502 ლარი, მათ შორის შენობა-ნაგებობებიდან 45 616 ლარი, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გადაცემიდან - 14 886 ლარი.

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ ფარგლებში გამართულ ფორუმში მონაწილეობა მივიღეთ ზუგდიდის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრში. სამსახურის ჩართული ვიყავით სამეგრელოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ინფო ტურში. სსიპ კურორტების განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული კურორტებისა და საკურორტო ადგილების შესწავლის ფარგლებში თანამშრომლობა გვქონდა კურორტ მენჯის საკითხებთან დაკავშირებით. განხორციელდა ეკონომიკის/ტურიზმის/სტატისტიკის თემატიკის მიმართულებით სამსახურში შემოსული წერილებისათვის პასუხების და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება. მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე არსებული შიდა მუნიციპალური/საქალაქთაშორისო/გამჭოლი და რეგიონალური სამარშუტო ტრანსპორტის გადაადგილების გრაფიკებისა და სხვა დამატებითი ინფორმაციის მომზადება. ქალაქ სენაკის ტერიტორიაზე, ე.წ. „ფუნიკულიორის“ მიმდებარედ, გამორჩეული სენაკელის ერმილე მხეიძეს მიერ 1955-1958 წლებში აშენებული ასკიბესთვის საინფორმაციო-ტურისტული აბრის მომზადება/შესყიდვა/მონტაჟი..
რეაგირება მოხდა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინიტროს, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის, შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ გამოგზავნილ წერილებზე და კორესპონდენციებზე. კერძოდ, მონაწილეობა მივიღეთ პარლამენტის გარემოსდაცვის კომიტეტის თემატურ გამოკითხვაში ‘დაბალემისიანი მობილობის გამოწვევები საქართველოში’. დაფიქსირდა მერიის პოზიცია ამ საკითხზე. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს გაეგზავნა მოთხოვნილი ინფორმაცია „ყოველწლიური გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიში“, ასევე მოვახდინეთ წყალმოსარგებლეთა აღრიცხვის ფორმების გაგზავნა გარემოსდაცვისა და

ინფორმაციის ცენტრში. შევადგინეთ და გავაგზავნეთ მოთხოვნილი ინფორმაცია ცენტრალიზებული წყალმოსარგებლეთა მიწოდების თაობაზე. ჩართული ვიყავით გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების ინსტიტუტისა (Id) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ერთობლივ პროექტში „მდგრადი ქალაქები საქართველოში“. შპს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაში გაიგზავნა მოთხოვნილი ინფორმაცია სენაკის მუნიციპალიტეტში არსებული ნაგავმზიდების მარკებისა და მძღოლების მონაცემების შესახებ. მოხდა ორგანიზება „წყლის საერთაშორისო დაცვის დღესთან დაკავშირებულ დასუფთავების აქციას „ლურჯი ნაკადული“.

.მუნიციპალიტეტის მერთან განხილულ იქნა საქართველოს ენერგოეფექტურობის ცენტრის, მერების შეთანხმება-აღმოსავლეთით წერილი ევროკავშირის ინიციატივას-მერების შეთანხმების მიერთების შესახებ. შეიქმნა მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის შედგენაზე პასუხისმგებელი ჯგუფი და განაწილებულ იქნა ფუნქციები. ოქტომბრის თვეში ქ. თბილისში ახალხელმომწერ მუნიციპალიტეტების წინაშე წარვდექით პრეზენტაციით მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის შედგენის პრაქტიკის გაზიარების მიზნით. მიმდინარე წლის სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში ორგანიზება გავუწიეთ პროექტს „აგროტური ადგილობრივი ფერმერებისა და ადმინისტრაციული ერთეულების სპეციალიტებისათვის“. პირველი აგროტური შედგა ქ. ფოთსა და ბათუმში, რომელიც გამიზნული იყო ქალთა ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ქ. ფოთში ვესტუმრეთ ქალთა ეკონომიკური განვითარების ჰაბს „დიოსკურიას“, სადაც მეწარმეები გაეცნენ სხვადასხვა სამეწარმეო საქმიანობებს, ასევე დავათვალიერეთ აჭარის აგროსერვის ცენტრის გვარა-ხუცუბნის სათბური და „ბერიძეების ღვინის მარანი“. აგროტურში მონაწილეობდნენ ადგილობრივი მეწარმე ქალები და ფერმერები. მეორე ლოკაცია იყო მარტვილის მუნიციპალიტეტში სოფ. ნახუნაოში მდებარე ეგზოტიკური და ადგილობრივი ჯიშების ფრინველებისა და ცხოველების ფერმა. ასევე აგროტურისტული ადგილი მარტვილიში საოჯახო სასტუმრო „სახლი ხეზე“. განხორციელდა პროექტი „დამწყები მეფუტკრე“. პროგრამა ითვალისწინებდა ქალთა ეკონომიკურ განვითარების ხელშეწყობას. შევიძინეთ და სამ ბენეფიციარს გადავეცით ფუტკრის ოჯახები და სხვა საჭირო ინვენტარი.

.ადგილოვრივი ფერმერებისა და მეწარმეების პოპულარიზაციის მიზნით ხელი შევუწყვეთ ადგილობრივ ფერმერებს ჩართულიყვნენ ისეთ გამოფენებსა და ფესტივალებში, როგორიცაა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა, მთაწმინდის ყველის ფესტივალი, ღვინის დღეები საქართველოში „ თბილისობა“, ეგრისობის დღესასწაული. ყველა ამ ღონისძიებაზე გამოფენებში სულ ჩართული იყო 20 მდე ადგილობრივი მეწარმე-ფერმერი. თბილისობაზე წარვადგინეთ ადგილობრივი კუთხე და პროდუქცია. წლის განმავლობაში მონაწილეობა მივიღეთ სხვადასხვა ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში. დავესწარით გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის Id-მიერ გამართულ სამუშაო შეხვედრას ქ.თბილისში ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და ურბანული განვითარების საკითხებზე, სადაც წარვადგინეთ პრეზენტაცია სენაკში განხორციელებულ პროექტებზე. დავესწარით

შეხვედრას ,სადაც მერების შეთანხმების ხელმომწერი ქვეყნების - საქართველო, აზერბაიჯანი, ბელორუსიის წარმომადგენლებს გავაცანით სენაკის მუნიციპალიტეტში მერების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი საადაპტაციო და სამიტიგაციო ღონისძიებები.

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ ეტაპისთვის აიზომა 1606 მიწის ნაკვეთი, საჯარო რეესტრიდან შემოსულია 120 მომართვა, განხორციელდა საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოს მიერ გამოცხადებული მიწის სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 80 მდე მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერება და შესაბამისი წერილებისა და დოკუმენტაციის მომზადების პროცესში ჩართულობა. პროცესი ამჟამადაც გრძელდება. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან შემოსულია 39 მომართვა, მიწის განკარგვის თაობაზე, შესრულებულია 39. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან შემოსულია 22 მომართვა, რომელზედაც პასუხი გაცემულია.

გარემოდან ამოღებული და ლიკვიდირებული იქნა 5 მგელი და 20 ტურა. ლიკვიდირებული მტაცებლის ლეში განადგურებულ იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ნაგავსაყრელზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის და სურსათის ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს წარმომადგენლებთან ერთად.

მონაწილეობა მივიღეთ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის გეგმის შემუშავებაში.